მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28

2010 წლის 17 დეკემბერი

დ. მესტია

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ'' ქვეპუნქტის შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. დამტკიცდეს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის დებულება წარმოდგენილი რედაქციით, (თან ერთვის).
2. დადგენილება გამოქვეყნდეს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით.
3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გ. გვარლიანი**

დანართი

მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის

დებულება

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სამსახურის ცნება

1. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (შემდგომში – სამსახური) არის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონითა და მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების თანახმად შექმნილი მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სტრუქტურული ერთეული.
2. სამსახური თავის საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს ნორმატული აქტების საფუძველზე, სხვა საკანონმდებლო კანონქვემდებარე ნორმატული აქტებით, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებით დაკისრებულ ამოცანებს.
3. სამსახური ანგარიშვალდებულია მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.
4. სამსახური ასრულებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტებით დაკისრებულ ამოცანებს.
5. სამსახურს აქვს ბლანკი, ბეჭედი, სამსახურის სრული დასახელებით: მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.
6. სამსახური მის კომპეტენციაში შემავალი საკითხების განხორციელებისას წარმოადგენს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
7. სამსახურის დებულებას ამტკიცებს საკრებულო.

8. სამსახურის ადგილსამყოფელია: საქართველო, 0162 მესტიის რაიონი, მესტიის მუნიციპალიტეტი სეტის მოედანი 1.

თავი II
სამსახურის საქმიანობის სფერო, ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 2. სამსახურის საქმიანობის სფერო

1. სამსახურის საქმიანობას მოიცავს კულტურის, განათლების(სკოლამდელი განათლების) ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებს

მუხლი 3. სამსახურის ამოცანები

სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში ერთიანი პროგრამების შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზაციის კოორდინაცია.

კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა.

სამსახურის სისტემის ორგანიზაცია-დაწესებულებებში მონიტორინგის ჩატარების განხორციელება.

მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ გამოყოფილი კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროსათვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების განაწილება.

კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სამსახურის ძირითადი ამოცანებია:

ა) კულტურის სფეროში:

ა.ა) სათანადო პირობების შექმნა ზოგადად კულტურის და კულტურის დარგების შენარჩუნების, დაცვის და განვითარებისათვის. კორდინაციის გაწევა და ხელმძღვანელობა კულტურის სფეროში არსებული პრობლემების მოგვარებაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობა კულტურული დაწესებულებების მუშაობის პროცესზე;

ა.ბ) მატერიალური (ეთნოგრაფიული მასალები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები) და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების , ნებისმიერი მასალებითა და საშუალებებით ყოველ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი კულტურული და შემოქმედებითი ნიმუშების, ფოლკლორის, ისტორიულ, არქეოლოგიურ, მემორიალურ, რელიგიურ-ესთეტიკურ, მხატვრულ, მეცნიერულ, ტექნიკურ თუ სხვა ღირებულებათა აღრიცხვა, დაცვა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია;

ა.გ) თეატრის, კინოს, მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური რეწვის დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ტრადიციების შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია;

ა.დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარების, ლიტერატურული და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, რაიონული დაქვემდებარების ბიბლიოთეკების მატერიალური უზრუნველყოფის ზედამხედველობა, ბიბლიოთეკებისათვის მეთოდური დახმარების გაწევა, სხვადასხვა პროგრამების მომზადება და განხორციელება, საბიბლიოთეკო სტანდარტების დაცვა და კონტროლი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ბიბლიოგრაფიული მასალების შეგროვება და სისტემატიზირება.

ბ) განათლების სფეროში:

ბ.ა) მუნიციპალიტეტის განათლების რესურსცენტრთან, სკოლამდელი, სახელოვნებო და სპორტული განათლების კოორდინაცია;

ბ.ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელოვნებო სკოლების, სკოლამდელი დაწესებულებების საქმიანობის ხელშეწყობა, პროგრამების შემუშავება, განხორციელება, პრობლემების მოგვარებაში დახმარება და კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობის გაწევა მუშაობის პროცესზე.

გ) ძეგლთა დაცვის სფეროში:

გ. ა) სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების”დადგენილი ნორმების შესაბამისად

გ.ბ) სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის გამოვლინებას, აღწერას და მისი მდგომარეობის სისტემატურ შემოწმებას, ზრუნავენ მის მოვლა-პატრონობაზე, შესწავლასა და რეაბილიტაციაზე.

გ.გ) სამინისტროს აწვდის ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენასა და მისი მდგომარეობის სესახებ;

გ.დ) ძეგლთა დაცვის სფეროში ინფორმაციული ხელშეწყობის მიზნით თანამშრომლობენ სამინისტროსთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან;

გ.ე) ახორციელებს ძეგლთა დაცვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საქმიანობებს.

დ) სპორტის სფეროში:

დ.ა) ქმნის სათანადო პირობებს ზოგადად სპორტის და სპორტის სახეობების ტრადიციების შენარჩუნების, დაცვისა და განვითარებისათვის, კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს სპორტში არსებული პრობლემების მოგვარებასა და შეიმუშავებს სპორტის განვითარების ძირითად მიმართულებებს;

დ.ბ) თანამშრომლობს საქართველოს სახელმწიფო და არასამთავრობო სპორტულ ორგანიზაციებთან, სპორტის ასოციაციებთან, კავშირებთან, ფედერაციებთან, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან და საქართველოს სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნულ კომიტეტთან, ხელს უწყობს და კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს მათ საქმიანობას;

დ.დ) მონაწილეობს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დარგში განათლებისა და მეცნიერების პროგრამების შემუშავებაში, მეთოდურ დახმარებას უწევს სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, კოორდინაციას უწევს სკოლაგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების (სპორტული სკოლების) განვითარებას და გაფართოებას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ზედამხედველობას უწევს სპორტული სკოლების სასწავლო-საწვრთნელ პროცესს;

დ.ე) შეიმუშავებს სპორტის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებათა პროგრამას; თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული ბაზების მშენებლობისა და კეთილმოწყობის, სპორტული ინვენტარითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფაზე.

ე) ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში:

ე.ა) კოორდნაციას უწევს ბავშვთა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროში სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებას;

ე.ბ) კოორდნაციას უწევს ბავშვთა, ახალგაზრდებისა და ახალგაზრდა ოჯახების უფლებათა დაცვას, უწევს მათ კონსულტაციასა და დახმარებას;

ე.გ) აწესებს კონტროლს ბავშვთა შრომით საქმიანობაზე, უზრუნველყოფს ავადმყოფი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის ხელშემწყობი პირობების შექმნას;

ე.ე) სახელმწიფოებრივი საბავშვო და ახალგაზრდული პოლიტიკის შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში კონსულტაციას უწევს იმ საზოგადოებრივ (მათ შორის, ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო) ორგანიზაციებს, იურიდიულ თუ კერძო პირებს, რომელთა საქმიანობა ეხება ბავშვებს, ახალგაზრდებსა და ახალგაზრდა ოჯახებს;

ე.ვ) კოორდინაციას უწევს საქართველოს ახალგაზრდულ და ბავშვთა ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობას, მათი მიზნების, საქმიანობის, პრობლემების შესწავლასა და სახელმწიფოებრივ ხელშეწყობას, მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვას;

ე.ზ) სხვა დაწესებულებებთან ერთად მონაწილოებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბავშვების და ახალგაზრდობის სოციალური და სხვა პრობლემების გადაწყვეტაში;

ე.თ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს ახალგაზრდებს შორის დამნაშავეობის, ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ამზადებს შესაბამის პროგრამებსა და წინადადებებს;

ე.ი) ორგანიზებას უწევს სპეციალისტების მოწვევასა და სემინარების, სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციების, საქველმოქმედო აქციების მოწყობას; ამყარებს საქმიან კონტაქტებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასახელმწიფო სტრუქტურებთან;

ე.კ) კოორდინაციას უწევს განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის სახელმწიფოებრივ მხარდაჭერას;

ე.ლ) ხელს უწყობს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან ახალგაზრდობის კონტაქტების განმტკიცებას;

ე.მ) ორგანიზებას უწევს საბავშვო და ახალგაზრდულ კულტურულ-სამეცნიერო, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 4. სამსახურის ფუნქციები.

1. სამსახურის ფუნქციებია:

ა) ითანამშრომლოს სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან;

ბ) საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით სამსახურში ხელშეკრულებით იწვევს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებსა და ტექნიკურ მუშაკებს;

გ) დადგენილი წესით აწყობს სემინარებს, კონფერენციებს, ფესტივალებს, კონკურსებს, კონცერტებს, გამოფენებს, გამოფენა-გაყიდვებს და სხვა ღონისძიებებს.

თავი III
სამსახურის კომპეტენცია

მუხლი 5. სამსახურის კომპეტენცია

კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სფეროში დადგენილი წესის შესაბამისად, სამსახური თავის კომპეტენციის ფარგლებში:

ა) სარგებლობს საბიუჯეტო სახსრებით;

ბ) მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კოორდინაციას უწევს კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სფეროს პროგრამების განხორციელებას.

გ) ქმნის პირობებს კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სფეროში არასამთავრობო საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის.

დ) ახორციელებს თავის მმართველობის სფეროში რეგისტრირებულ სამართლის იურიდიულ პირთა აღრიცხვასა და კონტროლს.

თავი IV
სამსახურის ხელმძღვანელობა და პერსონალი

მუხლი 6. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

სამსახურის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს სამსახურს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამსახურის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) წარუდგენს გამგებელს დასანიშნად სამსახურის თანამშრომელთა კანდიდატებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით;

გ) წარუდგენს გამგებელს წინადადებს სამსახურის საკადრო საკითხებთან დაკავშირებით, მოსამსახურეთა წახალისებისა და პასუხისმგებლობის დაკისრების, მოსამსახურეთა მიერ მორიგი და დამატებითი შვებულებების გამოყენებას, მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინებების კვალიფაკაციის ამაღლებისა და სწავლების შესახებ;

დ) განსაზღვრავს სამსახურის საქმიანობას, ორგანიზებასა და დაგეგმვის წესს, ფორმებსა და მეთოდებს, სამსახურის მოსამსახურეთა თანამდებობრივ მოვალეობებს;

ე) გამგებელს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზების შესახებ;

ვ) ხელს აწერს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე მომზადებულ დოკუმენტებს;

ზ)გამგებლის წინაშე შუამდგომლობს სამსახურის მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია სამსახურის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

თ) ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ სხვა უფლება-მოვალეობებს.

ი) ორგანიზებას უწევს მოქალაქეების წინადადებეს, განცხადებებისა და საჩივრების განხილვას;

კ) ახორციელებს ამ დებულებით მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 7. სამსახურის პერსონალი

1. სამსახურის პერსონალს წარმოადგენს საჯარო მოსამსახურეები (მთავარი სპეციალისტი, წამყვანი სპეციალისტი და სპეციალისტი), რომლებსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. სამსახურის საჯარო მოსამსახურეები ასრულებენ ამ დებულებით და თანამდებობრივი ინსტრუქციებით მინიჭებულ ფუნქციებს.

3. მოსამსახურეთა თანამდებობრივ ინსტრუქციებებს და საშტატო ნუსხას სამსახურის უფროსის წარდგინებით ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

თავი V
სამსახურის ქონება

მუხლი 8. სამსახურის ქონება და დაფინანსება

1. სამსახურის ქონებას წარმოადგენს მატერიალური ფასეულობა, რომელიც მუნიციპალიტეტის საკუთრებაა.

2. დაფინანსება ხორციელდება მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ყველა საბრუნავი საშუალება და საფინანსო რესურსები აისახება მესტიის მუნიციპალიტეტის ბალანსზე.

თავი VI
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 9. სამსახურის დებულების დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა

1. სამსახურის დებულებას მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარდგინებით ამტკიცებს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

2. სამსახურის რეორგანიზაცია, მისი საქმიანობის შეწყვეტა ან ლიკვიდაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ.